განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე: „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების და ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია მოქმედ კანონში არსებული ხარვეზებით, რომლის თანახმადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ლეიტენანტის პირველადი სამხედო წოდება შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, თუ ისინი დააკმაყოფილებენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კანონის ძველი რედაქციით კი, ლეიტენანტის პირველადი სამხედრო წოდება შსს-ს სისტემაში შეიძლებოდა ასევე მინიჭებოდა ზოგადი განათლების ან საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირსაც, თუ მისი მხრიდან დაკმაყოფილებული იქნებოდა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ლეიტენანტის პირველადი სამხედრო წოდების მინიჭების საკითხების მოწესრიგება.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის თანახმად, შსს-ს სისტემაში ლეიტენანტის პირველადი სამხედრო წოდება მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებსაც გავლილი აქვთ ლეინტენანტის სამხედრო წოდების მისანიჭებელი კურსი და აქვს სრული ზოგადი, საშუალო პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გარკვეულ წილად გაზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ მოახდენს გავლენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
არ მონაწილეობდნენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
არ მონაწილეობდნენ

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
საქართველოს პარლამენტის წევრები: ზაზა გელაშვილი, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის წევრები: ზაზა გელაშვილი, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა.